საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 8 05/03/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 17 კვმ.ფართის სარგებლობის უფლებით ა.(ა)ი.პ. ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრისათვის“ გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ქვეპუნქტისა და 122–ე მუხლის მე-4 და მე - 6 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, გადაცეს სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით ა.(ა)ი.პ. ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა #15-ში მდებარე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 17 კვმ.ფართი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე